დამტკიცებულია

შპს „აკადემოსის”

დირექტორის 2024 წლის 29 ივნისი N2-26-24 ბრძანებით

ძალაში შედის 2024 წლის 01 სექტემბრიდან

შპს „აკადემოსის”

შიდა შეფასების/შემოწმების (ვერიფიკაციის)

წესი

თბილისი

2024

მუხლი 1. შესავალი

შეფასების შიდა შემოწმება (შემდგომში - ვერიფიკაცია) არის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში სანდო, ვალიდური, სამართლიანი, გამჭვირვალე და მოქნილი შეფასების სისტემის არსებობას.

მუხლი 2. ვერიფიკაცია

1. ვერიფიკაცია წარმოადგენს სკოლაში ხარისხის შეფასების სისტემას, რომელსაც ახორციელებენ შიდა შემმოწმებლები (შემდგომში - ვერიფიკატორები) სკოლის ფარგლებში და რომელიც უზრუნველყოფს გაკეთებული შეფასებების სიზუსტეს და ამ შეფასებების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების გადამოწმებას. სკოლა ვალდებულია შემოწმების პროცესი განახორციელოს სწავლების ყველა საფეხურზე. შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) სისტემა ამოწმებს რამდენად ზუსტად იგეგმება და ხორციელდება შეფასება და რამდენად ზუსტი და სამართლიანია ის.

2. ვერიფიკაციის სისტემა არის დახმარებაზე ორიენტირებული პროცესი და მოიცავს სხვადასხვა ეტაპს, რომელთა მიზანია:

- *შიდა შეფასების ჩატარება და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდგომი განვითარება;*
- *მასწავლებელთა მუშაობის ხარისხის მონიტორინგი;*
- *მასწავლებელთა საჭიროების იდენტიფიცირება და მათი შესაბამისი განვითარება;*
- *ხარისხის გარე უზრუნველყოფის მოთხოვნების დაკმაყოფილება.*

მუხლი 3. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირები

1.შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) პროცესში ჩართულნი არიან: დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელი და/ან შემმოწმებელი მასწავლებელი (ვერიფიკატორი) და საგნის მასწავლებელი.

2.დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში:

- *უზრუნველყოფს, რომ ვერიფიკაციის პროცედურები მოქმედებდეს სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა საგნისათვის;*
- *კოორდინირებას უწევს კადრების შემდგომი გადამზადება/განვითარების პროცესს, რომელიც ეფუძნება ვერიფიკატორებისაგან მიღებულ ინფორმაციას საგნის მასწავლებლის იდენტიფიცირებული საჭიროებების შესახებ;*
- *კოორდინირებას უწევს ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვას და შესაბამისი კადრების შერჩევას ვერიფიკატორად;*
- *უზრუნველყოფს შიდა ვერიფიკატორებისათვის მეთოდური მითითებების მიცემას;*
- *უზრუნველყოფს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) პროცესის მონიტორინგსა და აუდიტს;*

- *ახორციელებს ვერიფიკაციის სისტემის ყოველწლიურ მიმოხილვას/შეფასებას;*

3.ვერიფიკატორი კონკრეტული საგნისთვის:

- *ამოწმებს და ადასტურებს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობასა და სანდოობას;*
- *არჩევს შეფასების ნიმუშებს შეფასების პროცესის მონიტორინგის მიზნით;*
- *ამოწმებს და ადასტურებს შემფასებლის მიერ მიღებულ შეფასების გადაწყვეტილებებს;*
- *ახდენს შემფასებლების სასწავლო საჭიროებების იდენტიფიკაციას და მიღებულ ინფორმაციას აწვდის დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში შემდგომი რეაგირებისათვის.*

4.ვერიფიკატორებს არ შეუძლიათ შეამოწმონ საკუთარი და ასევე იმ მასწავლებლის შეფასებითი გადაწყვეტილებები, რომელთანაც უფიქსირდება ინტერესთა კონფლიქტი.

5.შემფასებელი არის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის კონკრეტულ კლასს და რომელიც შეფასებას ახორციელებს. კონკრეტული საგნის შემფასებელი (საგნის/კლასის მასწავლებელი):

- *ქმნის შეფასების ინსტრუმენტს;*
- *აფასებს მოსწავლეს და აგროვებს მოსწავლის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას;*
- *შეფასებასთან დაკავშირებით იღებს სამართლიან გადაწყვეტილებებს;*
- *შეფასების შემდეგ იძლევა მკაფიო და კონსტრუქციულ უკუკავშირს და მითითებებს;*
- *აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებულ ჩანაწერებს.*

მუხლი 4. ვერიფიკაციის პროცესი

1.*ვერიფიკაცია მოიცავს სამ ეტაპს:*

1 ეტაპი - შეფასების დაგეგმვა;

2 ეტაპი - შედეგების შეფასება;

3 ეტაპი - უკუკავშირის მიწოდება შემფასებლებისათვის.

2.ვერიფიკაციას ექვემდებარება შემაჯამებელი დავალებები და სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებული გამოცდები. შეფასების ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ასევე დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, სკოლის დირექციის ინიციატივით (მაგ.გამოცდა, დიაგნოსტიკური წერების ჩატარება და მათი ანალიზი მიმდინარე შეფასებებთან და სხვა) .

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს სკოლაში უნდა განხორციელდეს:	შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;
	მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;
	მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება;
	მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება;
	შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;
	შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;
	შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება;
	შეფასების პროცესის სხვა ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
	მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით;.

მუხლი 5. 1 ეტაპი - შეფასების დაგეგმვა

1.პირველ ეტაპზე დეტალურად დაიგეგმება შეფასების პროცესი. მომზადდება ვერიფიკაციის გეგმა და მოხდება მომზადებული შეფასების ინსტრუმენტების/შემაჯამებელი დავალებების ვერიფიკაცია.

2.ვერიფიკაციის გეგმა მოიცავს შეფასების სავარაუდო პერიოდს, შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის თარიღს, ჩატარებული შეფასების განხილვის თარიღს და მასწავლებელთა (შემფასებელ მასწავლებელთან) უკუკავშირის მიწოდების მიზნით გამართული შეხვედრის დროს. შემდგომი ეტაპია საგნის მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტების მომზადება და მისი ვერიფიკაცია ვერიფიკატორის მიერ. ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც გაცემული იქნა ვერიფიკატორების მიერ აღნიშნული საგნის შეფასების დროს წარსულში (გამონაკლისს წარმოადგენს საგანის სწავლების პირველი წელი ან /და ვერიფიკაციის პროცესის დაწყების პირველი წელი).

3. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს, წინამდებარე პუნქტში მითითებული ღონისძიებების განხორციელების შემდგომ ხდება ვერიფიკაციის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

4.შეფასების დაგეგმვა აისახება დანართი N1-ის შესაბამის ნაწილში.

მუხლი 6. 2 და 3 ეტაპი - შედეგების შეფასება და უკუკავშირის მიწოდება შემფასებლებისათვის

1.მასწავლებლის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალების შეფასების შემდეგ, ვერიფიკატორი არჩევს და განიხილავს შეფასების ნიმუშებს. საერთო რაოდენობის მინიმუმ 30%-ს და შედეგებს განაზოგადებს გენერალურ ერთობლიობაზე.

2.ვერიფიკატორი პირველ რიგში ადგენს, რომ შეფასების პროცესში გამოყენებულია შეფასების შემოწმებული (ვერიფიცირებული) ინსტრუმენტები, რომ შეფასების პროცესში აღრიცხული ყველა მოსწავლისათვის არსებობს შეფასების მტკიცებულება.

3.მოსწავლეთა ნამუშევრები შეირჩევა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ნამუშევრების შერჩევის შემდეგ, ვერიფიკატორი აკეთებს ჩანაწერს შერჩევის თითოეული აქტივობისათვის (როგორ შეარჩია). ეს ჩანაწერი საშუალებას მისცემს ვერიფიკატორს უზრუნველყოს მასწავლებლის (შემფასებლის) **უკუკავშირი** და დეტალურად ჩაწეროს ნებისმიერი საჭირო აქტივობა. სასურველია, რომ ვერიფიკატორის მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციები უკავშირდებოდეს როგორც შეფასების პროცესის დახვეწას და შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესებას, ისე იმ სფეროების გამოვლენას, რომლებშიც საგნის მასწავლებელს სჭირდება გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება.

3.შიდა ვერიფიკაციის შემდეგი ეტაპია ვერიფიკატორსა და შეფასების განმახორციელებელ პირს (მასწავლებელს) შორის შეხვედრის ჩატარება. შეფასების პროცესის ბოლოს ჩატარებული განხილვა მიზნად ისახავს **შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას,** ასევე იმას, რომ ყველა ხარვეზი, რომელიც ვერიფიკატორმა გამოავლინა, მომდევნო შეფასებისთვის გამოსწორდეს.

4.იმ შემთხვევაში თუ ვერიფიკატორი თვლის, რომ ჩატარებული შეფასების პროცესის გაუმჯობესებისათვის/დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად აუცილებელია დამატებითი აქტივობების განხორციელება, ის შეიმუშავებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

მუხლი 7. შერჩევის სტრატეგია/ შერჩევის განსაზღვრა

1.ვერიფიკაციისას არ არის საჭირო, რომ ყველა მოსწავლის ნამუშევარი იქნას განხილული თუმცა, საჭიროა საკმარისი რაოდენობის ნიმუშების შერჩევა იმისათვის, რომ დადგინდეს, თუ რამდენად თანამიმდევრულ შეფასებას აკეთებენ მასწავლებლები და რამდენად იცავენ ისინი სტანდარტებს. მაგრამ, თუ ვერიფიკატორი შეფასების პროცესში დააფიქსირებს გარკვეულ შეუსაბამობას ანდა ხარვეზებს სტანდარტის დაცვასთან დაკავშირებით, შესაძლებელია, რომ შეფასებისთვის გაიზარდოს შერჩევის მოცულობა.

2.შერჩევისას, გათვალისწინებული უნდა იქნას:

- *რომ შერჩევაში შედიოდეს ორივე გენდერის წარმომადგენელი (თუ კი შესაძლებელი იქნება)*
- *სსსმ მოსწავლეები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*
- *შემოწმებისთვის აღებული ნიმუშები უნდა მოიცავდეს მოსწავლის ნამუშევარს, რომელმაც მიიღო მაღალი შეფასება და რომელმაც მიიღო დაბალი შეფასება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);*

3.ვერიფიკატორმა უნდა დაადასტუროს შეფასების შედეგების სიზუსტე, რომელიც დაფუძნებული იქნება მათი ნიმუშის შედეგებზე. დადასტურება ხდება ხელის მოწერის სახით.

მუხლი 8. შიდა შემოწმების დოკუმენტაცია

1.ვერიფიკაციის პროცესის ყოველი ეტაპი უნდა იყოს ჩაწერილი /დოკუმენტირებული.
2.დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში სჭირდება შიდა ვერიფიკაციის ჩანაწერებზე ხელმისაწვდომობა, რათა შესაძლებელი იყოს ვერიფიკაციის ეფექტურობის მონიტორინგი და სისტემაში ჩართული მხარეებისათვის უკუკავშირის უზრუნველყოფა.

3.ვერიფიკაციის პროცესის აღმწერი დოკუმენტები საიმედოდ იქნება დაცული სკოლაში. მისი შენახვა ხდება 3 წლის ვადით

მუხლი 9. ვერიფიკაციის მარეგულირებელი წესის მიღება და მასში ცვლილების

1. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესს შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
2. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.

დანართი N1

ვერიფიკაციის გეგმა

სემესტრის ფარგლებში განსახორციელებელი შეფასებების რაოდენობა		
შეფასების პერიოდი	**I:**	**II:**
შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია	**I:**	**II:**
შეფასების შერჩევა და განხილვა ვერიფიკატორის მიერ	**I:**	**II:**
უკუკავშირი მასწავლებელთან	**I:**	**II:**